

ევოლუციონიზმი თუ კრეაციონიზმი საქართველოს განათლების სისტემაში  
(სკოლების მაგალითზე)

ნათელა დავითიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ნათელა დავითიძე

23. 06. 2019

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის წერისას გაწეული დახმარებისთვის, მნიშვნელოვანი რჩევებისა და საინტერესო იდეების მოწოდებისთვის, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ემზარ ჯგერენაიას.

ასევე მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჩემს კვლევაში და დახმარება გამიწია ნაშრომის წერისას.

## აბსტრაქტი

ევოლუციონიზმისა და კრეაციონიზმის დაპირისპირება სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში მრავალ წელს ითვლის. ევროპულ ქვეყნებში აღნიშნული თემის გარშემო მნიშვნელოვანი დებატები თუ საჯარო გამოსვლები ეწყობა. სკოლებში ევოლუციონიზმისა და კრეაციონიზმის სწავლების საკითხი დღემდე აქტუალურ თემად რჩება და შესაბამისად, ინტერესი მოცემული თემის გარშემო, ევროპულ ქვეყნებში დღესაც დიდია.

ევოლუციონიზმისა და კრეაციონიზმის სერიოზული დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც სამეცნიერო თუ არასამეცნიერო სივრცეში გამოჩნდა თეორია ადამიანის წარმოშობის შესახებ, რომელიც არ ეთანხმებოდა შექმნის ბიბლიურ ვარიანტს. ჩარლზ დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიამ დაარღვია აქამდე მიღებული აზრი, რომ ადამიანი იყო სტაბილურად შექმნილი. ამის საპირისპიროდ, დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიამ აჩვენა, რომ ადამიანი დროთა განმავლობაში ევოლუციის გზით ჩამოყალიბდა.

აღნიშნული საკითხისთვის კოჰერენტული ლიტერატურის გაცნობით ვიგებთ, რომ ევროპულ ქვეყნებში, ამერიკაში, მნიშვნელოვანი ბრძოლა მიმდინარეობდა და დღემდე გრძელდება სასწავლო სივრცეში ძალაუფლების მოპოვებისთვის.

ამერიკის სხვადასხვა შტატებში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები და სხვადასხვა ვალიდური წყაროს მიხედვით, დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა, რომ კრეაციონისტული სწავლება ამოღებული ყოფილიყო სასწავლო გეგმიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებისა და რელიგიის დაპირისპირება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის ნაცნობი ფაქტია, ამ საკითხთან დაკავშირებით ტარდება კვლევები და იწერება ნაშრომები, ქართული საზოგადოებისთვის ევოლუციონიზმი/კრეაციონიზმის დაპირისპირება ისე მასშტაბურად არ არის შესწავლილი, როგორც სხვა ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად არც

არსებობს ისეთი სოციოლოგიური კვლევები, რომლებიც მეცნიერებისა და რელიგიის დაპირისპირების შედეგების გავლენას განსაზღვრავდა თუნდაც ზოგადად სოციუმზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სეკულარულ ქვეყნად მიიჩნევა, მაინც ყველასთვის ცხადია ის ფაქტი, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დიდი ძალაუფლებით სარგებლობს და ამ ძალაუფლებას სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტში იყენებს, მათ შორის საგანმანათლებლო სივრცეშიც.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, აჩვენოს, ზოგადად რა მდგომარეობაა საქართველოს, კერძოდ თბილისის საჯარო სკოლებში ევოლუციონიზმის სწავლების კუთხით, რა გავლენას ახდენს მეცნიერების მასწავლებლების რელიგიური იდენტობა მათ პროფესიულ ხედვაზე და თუ ახდენს ეს გავლენას მეცნიერების სწავლებაზე.

მოცემული საკითხის სრულფასოვანი გაანალიზებისთვის თვისებრივი კვლევის მეთოდი შეირჩა, კვლევის ინსტრუმენტად კი სიღრმისეული ინტერვიუ. საკვლევი საკითხის საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის შემდეგ მეთოდად კონტენტ-ანალიზი იქნა გამოყენებული.

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, თუ როგორი რელიგიური იდენტობის მატარებლები არიან ბიოლოგიის მასწავლებლები და როგორ აწვდიან ისინი სამეცნიერო ცოდნას მოსწავლეებს. ასევე გამოვლინდა სასულიერო პირების დამოკიდებულება სკოლებში მეცნიერების სწავლებასთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში კი განისაზღვრა მეცნიერებისა და რელიგიის, ევოლუციონიზმისა და კრეაციონიზმის დაპირისპირების გავლენა თბილისის საჯარო სკოლებში მეცნიერების სწავლების მიდგომებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ევოლუციონიზმი; კრეაციონიზმი; ევოლუციონიზმისა და კრეაციონიზმის კონფრონტაცია; დარვინის თეორია.

## Abstract

Controversy of Evolutionism and Creationism is actual in scientific and educational space for many years. There are many important debates and public speech around these topics. The issues of teaching evolutionism and creationism are actual today and thus, the interest in these topics is still high.

The serious confrontation between evolutionism and creationism began when in the scientific or non-scientific space appeared the theory of human origin that did not agree with the biblical version about the origin of human. Charles Darwin's natural selection theory has violated the idea that the human was stable. In contrast, Darwin's natural selection theory has demonstrated that humans have evolved over time through evolution.

In the sense of coherent literature about this issue we learn that in the European countries, the United States has been a significant struggle and this struggle still continues for gaining the power in the educational space.

There were many trial processes in different states of America and as a result of great efforts, teaching of creationism was removed from the curriculum.

Despite the fact that confrontation of evolutionism and creationism is familiar for many countries around the world, there are many studies about these issues. Controversy of evolutionism and creationism is not as scrutinized for Georgian society as in other countries. It can be said that there are no such sociological studies that determine influence the consequences of confrontation between science and religion, even in the general community.

Although Georgia is considered as a secular country, it is clear for everyone that the Georgian Orthodox Church has great power and uses this power in various social institutions, including educational space.

The aim of the present paper is to show the situation, generally, in Georgian public schools (schools of Tbilisi) within the study of evolutionism, what is the impact of religion identity on professional vision of science teachers and whether these factors have an influence on teaching process of science.

For thorough analyses of the study qualitative method, specifically in-depth interviews and content analysis were used.

Analysis of the survey results showed what kind of religious identity the biology teachers have and how they deliver scientific knowledge to the students. The attitudes of the clergymen towards science teaching have also been revealed. Finally, it was defined the influence of science and religion, controversy of evolutionism and creatism were defined within the approaches of teaching science in public schools of Tbilisi.

**Key Words:** Evolutionism; Creationism; Confrontation of Creationism and Evolutionism; Darwin's theory.